ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43
2018 წლის 5 ნოემბერი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 11/06/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.128.016342).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1.საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.kharagaulinews.gov.ge)“.

2. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1.საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 37-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.kharagaulinews.gov.ge), წერილობითი განცხადების გაგზავნის ან/და განცხადების მატერიალური ფორმით წარდგენის გზით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**